ქართული

როგორც მეორე ენა

5

ნონა არევაძე-კოტორაშვილი
ზეინაბ ბერაძე, ნათია მანია, ნონა მიქელაძე
ია რობაქიძე, ნინო ჭანკვეტაძე
გიორგი ჭაუჭიძე

სულაკაურის
გამომცემლობა

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტროს მიერ 2020 წელს.

სარჩევი

ბიბლიოთეკაში	4
პროფესიები	10
ოჯახი	14
როცა პატარა ვიყავი	18
გასული ზაფხული	22
ახალი წელი	26
კვება და ჯანმრთელობა	32
თავისუფალი დრო	36
საყვარელი შინაური ცხოველი	40
სტუმრად დედაქალაქში	44
დაბადების დღე	52
ზოოპარკში	56
დამატებით საკითხავი	62

1 ბიბლიოთეკაში

ისაუბრე

დავალება 1. **წაიკითხე ეკას ანკეტა:**

ანკეტა

სახელი: ეკა
გვარი: მაისურაძე
დაბადების თარიღი:
2009 წლის 5 ნოემბერი
მისამართი: ქალაქი ჭიათურა,
კოსტავას ქუჩა #7
ტელეფონი: 333 22 33 44

ახლა უპასუხე შეკითხვებს:

ა. რა გვარია ეკა?

ბ. რამდენი წლისაა ის?

გ. სად ცხოვრობს იგი?

დ. სხვა რა ინფორმაციაა ეკას შესახებ ანკეტაში?

დავალება 2. დააკვირდი ილუსტრაციას და უპასუხე შეკითხვებს:

ა. რას ხედავ ნახატზე? შეადარე შენი სკოლის ბიბლიოთეკას.

ბ. ვისთვის არის ეს ბიბლიოთეკა – დიდებისთვის თუ ბავშვებისთ-ვის? რატომ ფიქრობ ასე?

გ. რა წერია პოსტერზე – „მე მიყვარს წიგნი“?

დ. შენი აზრით, კიდევ რა არის წიგნის სიყვარული?

გრამატიკული ბლოკი

დავალება 3. **დააკვირდი და შეასრულე სავარჯიშო რვეულში.**

არის = ა

ეკა **არის** გოგო. – ეკა გოგო**ა**.

ეკა **არის** მოსწავლე. – ეკა მოსწავლე**ა**.

ეკას ტელეფონის ნომერი **არის**: 333 22 33 44

ეკას ტელეფონის ნომერი**ა**: 333 22 33 44

თაროზე **არის** წიგნები. – თაროზე წიგნები**ა**.

კედელზე **არის** სურათი. – კედელზე სურათი**ა**.

აკვარიუმში **არის** თევზი. – აკვარიუმში თევზი**ა**.

ის **არის** ბიბლიოთეკაში. – ის ბიბლიოთეკაში**ა**.

სავარჯიშო 4 შეასრულე რვეულში.

დავალება 5. **ა.** **წაიკითხე ბიბლიოთეკის ბარათები.**
ბ. **დააკვირდი ფოტოებს მომდევნო გვერდზე და თქვი, ვისია ა. ბ. გ. ფოტოები.**

ბიბლიოთეკის ბარათი №1

სახელი: **ეკა**	სკოლა: **სსიპ ქ. ჭიათურის 1-ლი საჯარო**
გვარი: **მაისურაძე**	კლასი: **მე-5**
დაბადების თარიღი: **2009 წლის 5 ნოემბერი**	მისამართი: **ქ. ჭიათურა, კოსტავას ქ. 7**
	ტელეფონი: **333 22 33 44**

ჩემი საყვარელი საგანია (მონიშნე):
- [x] ქართული ენა
- [ ] ლიტერატურა
- [ ] მათემატიკა
- [x] უცხო ენა
- [x] მე და საზოგადოება
- [ ] სპორტი
- [ ] ბუნება
- [ ] ხელოვნება
- [ ] მუსიკა

ჩემი საყვარელი წიგნია:
„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“

ბოლოს წავიკითხე:
„ტომ სოიერის თავგადასავალი“

ბიბლიოთეკის ბარათი #2

სახელი: **გარი**
გვარი: **ანტონიანი**
დაბადების თარიღი:
2009 წლის 6 ივლისი

სკოლა: **სსიპ ქ. ჭიათურის 1-ლი საჯარო**
კლასი: **მე-5**
მისამართი: **ქ. ჭიათურა, კოსტავას ქ. 15**
ტელეფონი: **444 32 75 17**

ჩემი საყვარელი საგანია (მონიშნე):

- [x] ქართული ენა
- [x] ლიტერატურა
- [x] მათემატიკა
- [ ] უცხო ენა
- [ ] მე და საზოგადოება
- [x] სპორტი
- [ ] ბუნება
- [ ] ხელოვნება
- [x] მუსიკა

ჩემი საყვარელი წიგნია:
„ბიჭუნა და სახურავის ბინადარი კარლსონი“
ბოლოს წავიკითხე:
„ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“

ბიბლიოთეკის ბარათი #3

სახელი: **აისუ**
გვარი: **ჯაფარლი**
დაბადების თარიღი:
2009 წლის 18 თებერვალი

სკოლა: **სსიპ ქ. ჭიათურის 1-ლი საჯარო**
კლასი: **მე-5**
მისამართი: **ქ. ჭიათურა, თუმანიანის ქ. 3**
ტელეფონი: **888 73 13 52**

ჩემი საყვარელი საგანია (მონიშნე):

- [ ] ქართული ენა
- [ ] ლიტერატურა
- [x] მათემატიკა
- [x] უცხო ენა
- [ ] მე და საზოგადოება
- [x] სპორტი
- [ ] ბუნება
- [ ] ხელოვნება
- [ ] მუსიკა

ჩემი საყვარელი წიგნია:
„პეპი გრძელწინდა“
ბოლოს წავიკითხე:
„ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი“



გრამატიკული ბლოკი

დავალება 6. **წაიკითხე წინადადებები და დაუსვი შეკითხვა თითოეულს:**

1. გოგონა ზის მაგიდას**თან**.
2. წიგნები არის თარო**ზე**.
3. თევზი არის აკვარიუმ**ში**.
4. მაგიდა დგას კედელ**თან**.
5. წიგნი აქვს ხელ**ში**.
6. კომპიუტერი დევს მაგიდა**ზე**.

ნიმუში: სად ზის გოგონა?

სავარჯიშო 7 შეასრულე რვეულში.

წაიკითხე

დავალება 8. **კიდევ ერთხელ დააკვირდი ამ ილუსტრაციას და წაიკითხე ტექსტი:**

ბიბლიოთეკაში

აისუ პირველადაა ბიბლიოთეკაში.

კედლებზე ლამაზი პოსტერებია.

ბიბლიოთეკის კარადებში სულ ახალი წიგნები და ალბომებია.

აი, პირველი კარადა:

პირველ თაროზე ლექსიკონებია.

მეორე თაროზე ენციკლოპედიებია.

მესამე თაროზე ნახატების ალბომებია.

მეოთხე თაროზე კომიქსებია სუპერგმირებზე.

მეხუთე თაროზე სპორტსმენებისა და მსახიობების ბიოგრაფიებია.

სხვა კარადებშიც საბავშვო წიგნებია. ყველა თაროზე ნახატებიანი წიგ-ნებია. თაროების წინ მაგიდა დგას. მაგიდასთან ბიბლიოთეკარი ზის და ბავშვებს ელაპარაკება.

ფანჯრის თაროზე აკვარიუმი დგას. ბიბლიოთეკის აკვარიუმში სამი თევზია.

ახლა უპასუხე შეკითხვებს:

ა. ტექსტში ნახატზე გამოსახული ბიბლიოთეკაა აღწერილი?

ბ. რატომ ფიქრობ ასე?

სავარჯიშოები 9-16 შეასრულე რვეულში.

გრამატიკული ბლოკი

დააკვირდი და დაიმახსოვრე!

მრავლობით რიცხვში არსებით სახელებს ეკარგებათ ბოლო ხმოვანი **ა**:

ენ**ა** – ენ**ებ**ი
კარად**ა** – კარად**ებ**ი
მაგიდ**ა** – მაგიდ**ებ**ი
ენციკლოპედი**ა** – ენციკლოპედი**ებ**ი
ილუსტრაცი**ა** – ილუსტრაცი**ებ**ი

ზოგჯერ მრავლობით რიცხვში შუა ხმოვანიც იკარგება:

ა

მეგობ**ა**რი — მეგობ.რ**ებ**ი
მხატვ**ა**რი — მხატვ.რ**ებ**ი

ე

კედ**ე**ლი — კედ.ლ**ებ**ი
მასწავლებ**ე**ლი — მასწავლებ.ლ**ებ**ი

ზოგ სიტყვაში კი ხმოვნები შუაშიც იკარგება და ბოლოშიც:

ფანჯ**ა**რ**ა** — ფანჯ.რ.**ებ**ი
პეპ**ე**ლ**ა** — პეპ.ლ.**ებ**ი

2 პროფესიები

დავალება 1. გადახატე ასოციოგრამა რვეულში. შეავსე იმ პროფესიებით, რომლებიც გახსოვს:

ისაუბრე

დავალება 2. დააკვირდი პოსტერს. ისაუბრე:

ა. რას ხედავ სურათზე?

ბ. რა პროფესიის ადამიანები არიან სურათზე?
(რომელი პროფესიაც არ იცი, თქვი მშობლიურ ენაზე.)

გ. დაუბრუნდი რვეულის სავარჯიშოს და დაამატე პროფესიები ასოციოგრამაზე.

სავარჯიშოები 3-6 შეასრულე რვეულში.

დააკვირდი

დავალება 7. წაიკითხე ფრაზები და დაასახელე შესაბამისი ილუსტრაციის ნომერი:

ა. ის მოძრაობს საპატრულო მანქანით და იცავს წესრიგს.

ბ. ის სკოლაში მუშაობს, ასწავლის წერას და კითხვას.

გ. ის სუპერმარკეტში მუშაობს და პროდუქტებს ყიდის.

დ. ის სახლებს აშენებს. თავზე ჩაფხუტი ახურავს და სპეციალური ტანსაცმელი აცვია.

ე. ის ყველგან ფოტოაპარატით დადის და ძალიან ბევრ ფოტოს იღებს.

ვ. ის ვერტმფრენში ზის და ვერტმფრენს მართავს.

ისაუბრე

ჯერ ისაუბრე ილუსტრაციის შესახებ, შემდეგ ყურადღებით წაიკითხე დიალოგი:



– გამარჯობა, ეს ბავშვთა პოლიკლინიკაა?
– დიახ, მობრძანდით.
– ელისო ექიმი აქ მუშაობს?
– პედიატრი ელისო მირაშვილი?
– დიახ, დიახ.
– მე-5 კაბინეტშია.
– ახლა თავისუფალია?
– არა, ახლა ავადმყოფი ჰყავს, 15 წუთის შემდეგ თავისუფალი იქნება.
– კარგი.
– პაციენტი თქვენი შვილია?
– დიახ, ჩემი შვილია.
– აი, თქვენი ნომერი და ელისო ექიმის სავიზიტო ბარათი.
– გმადლობთ.
– არაფრის.

დააკვირდი

დავალება 8. **კიდევ ერთხელ დააკვირდი ილუსტრაციას, გაიაზრე ტექსტი და აირჩიე სწორი პასუხი:**

პედიატრი არის:

ა. კბილის ექიმი

ბ. ბავშვთა ექიმი

გ. ცხოველების ექიმი

პაციენტი არის:

ა. მშობელი

ბ. ექიმი

გ. ავადმყოფი

ელისო ექიმი მუშაობს:

ა. პოლიკლინიკაში

ბ. ამბულატორიაში

გ. სტომატოლოგიურ კაბინეტში

დავალება 9. **წაიკითხე სავიზიტო ბარათი და დაასახელე, რა ინფორმაცია იყო დიალოგში და რა – არა.**

ელისო მირაშვილი
ექიმი პედიატრი

ბავშვთა პოლიკლინიკა # 2
მისამართი: ქ. ზუგდიდი. ცოტნე დადიანის ქ. 10
ტელეფონი: 545 20 23 40

მიღების დღეები: ორშაბათიდან პარასკევამდე

სავარჯიშოები 10-20 შეასრულე რვეულში.

3
ოჯახი

ისაუბრე

დავალება 1. **დააკვირდი ნახატს და უპასუხე შეკითხვებს:**

ეს სოფელია თუ ქალაქი?

ამ სოფელში მხოლოდ სამი სახლია?

ა. როგორ ფიქრობ,

ეს ბავშვები მეგობრები არიან?

რას თამაშობენ ბიჭები?

მე ვფიქრობ, რომ...

ბ. რატომ ფიქრობ ასე?

ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ...

დავალება 2. **წაიკითხე ნაწყვეტი წიგნიდან „ბულერბიელი ბავშვები“ და ნახე, სწორია თუ არა შენი ვარაუდები.**

ასტრიდ ლინდგრენი

შვედი საბავშვო მწერალი (1907-2002)

ასტრიდ ლინდგრენმა დაწერა წიგნი – „ბულერბიელი ბავშვები“. ლიზი „ბულერბიელი ბავშვების“ პერსონაჟია.

წაიკითხე

ლიზი

ლიზი

მე ლიზი მქვია. შვიდი წლის ვარ, მაგრამ მალე რვის გავხდები. ზოგჯერ დედა მეუბნება ხოლმე:

– ლიზი, უკვე დიდი გოგო ხარ, გაამშრალე, შვილო, ჭურჭელი!

ლასე და ბოსე კიდე მეუბნებიან: – ჩვენ პატარებთან ინდიელობანას არ ვთამაშობთ!

ჰოდა, ვერ გავიგე, როგორი ვარ – დიდი თუ პატარა.

ლასე და ბოსე ჩემი ძმები არიან. ლასე ცხრა წლისაა, ბოსე – რვის. ლასე ძალიან ღონიერია და ჩემზე ჩქარა დარბის. მე და ბოსე ერთნაირად დავრბივართ.

ჩვენ სოფელ ბულერბიში ვცხოვრობთ. პაწაწინა სოფელია, სულ სამი სახლია. სახლები გვერდიგვერდ დგას. შუა სახლი ჩვენია.

მეორე სახლში ერთი ბიჭი ცხოვრობს – ულე. ულეს არც დები ჰყავს და არც ძმები. ამიტომ ის სულ ლასესთან და ბოსესთან ერთად თამაშობს. ულე რვა წლისაა და ისიც მაგრად დარბის.

მესამე სახლში ორი გოგო ცხოვრობს. ერთს ბრიტა ჰქვია, მეორეს – ანა. ბრიტა ცხრა წლისაა, ანა ჩემი ტოლია. მე ორივე ძალიან მიყვარს – ანაც და ბრიტაც.

მეტი ბავშვი ჩვენს სოფელში არაა. სულ ექვსნი ვართ: ლასე, ბოსე და მე, ულე, ბრიტა და ანა.

უპასუხე შეკითხვებს:

ა. ვინ არის ლიზი?

ბ. რამდენი წლისაა ის?

გ. რამდენი ძმა ჰყავს ლიზის?

დ. რა ჰქვიათ მათ?

ე. სად ცხოვრობენ ლიზი და მისი ძმები?

სავარჯიშოები 3-5 შეასრულე რვეულში.